

ქ.თბილისი

2016 წლის 13 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 13 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი და მატჩის თანამსაჯის ნ. ამაშუკელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 10 სექტემბერს გაიმართა „დიდი 10“-ის ლიგის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და ბათუმის „ბათუმ“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმის და მატჩის თანამსაჯის ნ. ამაშუკელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი დავით იოზიძე საჯაროდ აპელირებდა მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 და 3.1 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი დ. იოზიძე დისკვალიფიცირებულ იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 13 ოქტომბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/